გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა ბაღებში

გზამკვლევი სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალისთვის

Activity supported by the
Canada Fund for Local Initiatives

Activité réalisée avec l'appui du
Fonds canadien d'initiatives locales

Canada

World Vision
GEORGIA

Activity supported by the
Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du
Fonds canadien d'initiatives locales

Canada

World Vision
GEORGIA

მენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა ბალებში

გზამკვლევი სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალისთვის

2022 წელი

გზამკვლევი შექმნილია პროექტის „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების გზით“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება World Vision საქართველოს ფონდის მიერ კანადის მთავრობა - კანადის ფონდი ადგილობრივი ინიციატივებისთვის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერული ძალადობის პრევენცია საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების გზით.

წარმოდგენილი გზამკვლევი ხელს შეუწყობს საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებში გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროექტის მიზნის შესრულებას.

World Vision GEORGIA FOUNDATION

გზამკვლევის ავტორი:
ნინო ფრუიძე - განათლების ექსპერტი

გზამკვლევის კონსულტანტი:
გიორგი ურჩუხიშვილი - გენდერის მკვლევარი

გზამკვლევის კოორდინატორი:
ქეთევან ქიმოსტელი - ფსიქოლოგი, პროექტის კოორდინატორი, World Vision საქართველოს ფონდი

რედაქტორი: **ჭაბუკი ქირია**
წიგნის დიზაინი და ილუსტრაციები: **სოფო კირთაძე**

© 2022 world vision საქართველო
ISBN 978-9941-8-4745-5

ამ და სხვა რესურსებისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.worldvision.ge

სარჩევი

შესავალი 6

რა არის გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა? 8

რატომ გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა? 20

ცოტა რამ საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობაზე 20

გენდერულად პასუხისმგებლიანი ბაღის პრაქტიკის სარგებელი 26

როგორ გავხადოთ ჩვენი პრაქტიკა და საგანმანათლებლო პროცესი გენდერულად პასუხისმგებლიანი? 32

დაგეგმვა 32

განხორციელება 42

შეფასება 45

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 48

შესავალი

გენდერი შედარებით ახალი ცნებაა - მასზე აქტიურად ფიქრი და საუბარი ჯერ მეცნიერებმა, ხოლო შემდეგ ფართო საზოგადოებამ წინა საუკუნის 50-60-იანი წლების შემდეგ დაიწყო. ამიტომ ძალიანაც მოსალოდნელია, რომ ამ ცნების შესახებ ყველაფერი არ ვიცოდეთ. არც ის არის გასაკვირი, თუ არ ვიცით, რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს გენდერულ გაუთვითცნობიერებლობას ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკასა და მათთან ურთიერთობაზე, როგორ აისახება ეს ჩვენს ბავშვებზე და რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავათავისუფლოთ ჩვენი პრაქტიკა გენდერული სტერეოტიპებისაგან. საბოლოო ჯამში, ეს ადამიანების თანასწორობას და გარკვეული ტიპის ძალადობასა და დისკრიმინაციის შემცირებასაც კი უწყობს ხელს. წარმოდგენილი გზამკვლევი სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ მისცეს მიმართულება ბაღების თანამშრომლებს ამ შეკითხვებზე პასუხის ძიებაში. იმედია, ის დაგეხმარებათ ახლებურად დაინახოთ და შეაფასოთ ბაღის როლი და თქვენი პრაქტიკა, რომელსაც საბოლოოდ ერთნაირად სასარგებლოს გახდით როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის და, ამასთანავე, ხელს შეუწყობთ ბევრი პრობლემის მოგვარებას, რომლებზეც უფრო დაწვრილებით მომდევნო ნაწილებში ვისაუბრებთ.

მანამდე კი მოკლედ მოგიყვებით, თუ როგორ გაჩნდა ამ გზამკვლევის შექმნისიდეა და როგორ გამოვიყენოთ ის.

გენდერული
ასპექტი
ბავშვებთან
პრაქტიკაში
?
?
?

ვინ და რატომ შექმნა გზამკვლევი?

საქართველოში ბავშვის უფლებების საკითხებზე 20-წლიანი მუშაობის შემდეგ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - ვორლდ ვიჟენის (World Vision) გუნდმა შეაგროვა სანდო ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, ჩაატარა კვლევა და დაასკვნა, რომ უფროსები ოჯახებში, სკოლებში, ბაღებსა თუ სხვა ადგილებში გოგონებს და ბიჭებს განსხვავებულად ექცევიან, ეს კი ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ მათ მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღების საშუალება არ ეძლევათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გოგონები ან ბიჭები არიან. მათ მიმართ განსხვავებულმა დამოკიდებულებებმა და ქცევამ შეიძლება განაპირობოს, რამდენად წარმატებული, ბედნიერი და რეალიზებული იქნება ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამიტომ დიდი გამოცდილების და პროფესიონალიზმით სავსე გუნდმა გადაწყვიტა პრობლემიდან გამოსავალი მოეძებნა, რისთვისაც კონკრეტული საქმიანობები დაიგეგმა. ასე გაჩნდა პროექტი, რომელსაც ეწოდება „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების გზით". ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბავშვების თანასწორობას განურჩევლად იმისა, თუ რომელ სქესს მიაკუთვნებენ ისინი თავს, ამასთანავე, ხელი შეუშალოს ძალადობის იმ ფორმებს, რომლებსაც საფუძვლად ბავშვების გენდერი უდევს.

ეს გზამკვლევი შეიქმნა იმისათვის, რომ ბაღებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სხვა პროცესები პასუხობდეს ბავშვების გენდერულ თავისებურებებს და საჭიროებებს, რაც, თავის მხრივ, ბევრ არასასურველ მოვლენას (გენდერული ძალადობა, უთანასწორობა და სხვა) აგვარიდებს მომავალში. ბაღში მიმდინარე პროცესების დაგეგმვასა და მართვაში, როგორც ცნობილია, ბაღის მთლიანი თემის (ბავშვები, ბაღის თანამშრომლები და მშობლები) როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, მოცემული ინფორმაცია ერთნაირად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს როგორც საგანმანათლებლო პერსონალისთვის (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, თანაშემწე), ასევე ადმინისტრაციისა და სხვა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ბაღში მუშაობს. და, რაც მთავარია - მშობლებისთვის! რადგან მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე რთულია ხელშესახები ცვლილებების განხორციელება, ისინი ხშირად დიდ დახმარებას გვიწევენ.

ეს არის ინტერაქტიული გზამკვლევი, რომელიც, დიდი იმედი გვაქვს, საინტერესო და ასევე სასიამოვნო სამუშაო პროცესს შემოგთავაზებთ. სანამ გზამკვლევი შეიქმნებოდა, ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბაღებისა და სკოლების თანამშრომლებმა. მათ ისაუბრეს გენდერთან დაკავშირებულ ცოდნაზე, საზოგადოებასა თუ კონკრეტულ თემში გავრცელებულ შეხედულებებსა და საკუთარი ბაღის პრაქტიკაზე. სწორედ ამ კვლევის საფუძველზე შეიქმნა ეს სახელმძღვანელო. მასში მოკლედ არის მოცემული თეორიული ინფორმაცია, რომლის პრაქტიკაში დანერგვაშიც მოცემული კონკრეტული სავარჯიშოები, თავსატეხები და მოკლე დავალებები დაგვეხმარება. შესაბამისად, თეორიული მიმოხილვების გაცნობის შემდეგ, როდესაც იგრძნობთ, რომ ახლა უკვე ის გაინტერესებთ, თუ როგორ დანერგოთ ეს მნიშვნელოვანი მიდგომები ბავშვებთან, სავარჯიშოების კეთება დაიწყეთ.

რა არის გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა?

მოცემულ თავში თქვენ გაეცნობით მიდგომას, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და ყურადღებით ეკიდება გოგონებისა და ბიჭებისათვის დამახასიათებელ საგანამანათლებლო თავისებურებებს. ასეთ მიდგომას **გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიკას** უწოდებენ. მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტებასთან ერთად აქ მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ამ მიდგომაზე დაფუძნებული პრაქტიკა ბაღებში.

ამ ნაწილში ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რას ნიშნავს გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა. თუმცა იმისათვის, რომ ნათლად აღვიქვათ და წარმოვიდგინოთ ასეთი პრაქტიკა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ რამდენიმე ცნება და მოვლენა, რომელთა გარეშეც ძალიან გაგვიჭირდება ამ საკითხის გააზრება.

დავიწყოთ პატარა სავარჯიშოთი. გაიხსენეთ, რა გსმენიათ გენდერის შესახებ, დაფიქრდით, რა არის გენდერი და შეეცადეთ ქვემოთ შემოთავაზებული ვარიანტებიდან აირჩიოთ რამდენიმე, რომელიც, თქვენი აზრით, არის პასუხი კითხვაზე: „რა არის გენდერი?"

რას ნიშნავს გენდერი?

(შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

ა) ქალს და კაცს შორის თანასწორობა.

ბ) ადამიანის სქესი, რომელიც ბილოგიურადაა განსაზღვრული.

გ) სექსუალური ორიენტაცია.

დ) ადამიანის სქესი, რომელსაც. ის დაისწავლის სოციალიზაციის პროცესში.

ე) ადამიანების საზოგადოებაში. არსებული როლი, ქცევა, საქმიანობა და მახასიათებლები, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

თუ თქვენ მონიშნეთ ბ,დ,ე პასუხები, ესე იგი, სწორად ამოგიცვნიათ ყველა ის ნიუანსი, რომელიც ცნება გენდერს უკავშირდება. **გენდერი** ნამდვილად არის ბიოლოგიური სქესით ნაკარნახები იდენტობა, თუმცა ბევრად მეტია ამაზე. გენდერს ხანდახან ახასიათებენ, როგორც სოციალურ სქესს, ანუ, ჩვენი განცდების, განწყობების და ქცევების ერთობლიობას, რომელიც დავისწავლეთ ადამიანებთან და გარემოსთან ურთიერთობისას. გენდერი ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ყველა ის როლი, ქცევა, დამოკიდებულება, განწყობა თუ მახასიათებელი, რასაც კონკრეტული საზოგადოება მიაწერს სხვადასხვა ბიოლოგიური სქესის ადამიანებს. ანუ, ეს არის ერთგვარი სქესი, რომელიც განპირობებულია არამხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობებით: თუ ადამიანს აქვს ქალის ანატომიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლები, მისი ბიოლოგიური სქესი მდედრობითია. ხოლო თუ ადამიანი იქცევა ისე, როგორი მოქცევაც ქალისათვის არის შესაფერისად მიჩნეული კონკრეტულ საზოგადოებაში, ჩვენ ვამბობთ, რომ მისი გენდერული სქესიც მდედრობითია.

განვიხილოთ ჩვენს საზოგადოებაში ფართოდ მიღებული სოციალური როლი - ბავშვების აღზრდა და სახლის საქმიანობა (დიასახლისობა), რასაც უფრო ხშირად ჩვენი საზოგადოება ქალებს მიაკუთვნებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებს მამა უვლის და სახლშიც ის ფუსფუსებს, ვამბობთ, რომ მას ქალის გენდერული როლი აქვს აღებული, მაგრამ ფიზიკურად და ბიოლოგიურად ეს მას ნაკლებად კაცურს არ ხდის.w განვიხილოთ ჩვენს საზოგადოებაში ფართოდ მიღებული სოციალური როლი - ბავშვების აღზრდა და სახლის საქმიანობა (დიასახლისობა), რასაც უფრო ხშირად ჩვენი საზოგადოება ქალებს მიაკუთვნებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებს მამა უვლის და სახლშიც ის ფუსფუსებს, ვამბობთ, რომ მას ქალის გენდერული როლი აქვს აღებული, მაგრამ ფიზიკურად და ბიოლოგიურად ეს მას ნაკლებად კაცურს არ ხდის.

გენდერული იდენტობა

როგორც ყველა იდენტობა, **გენდერული იდენტობაც** არის საკუთარი თავის აღქმა, რომელიც ეფუძნება ჩვენს გარკვეულ მახასიათებლებს - ბიოლოგიურს, ემოციურს და ა.შ. ქალად აღვიქვამ მე ჩემს თავს თუ კაცად, ეს გენდერული იდენტობის ნაწილია, რადგან გენდერული იდენტობა დაკავშირებულია აღქმასთან და გარდა ბიოლოგიური მახასიათებლებისა, ბევრ სხვა მახასიათებელსაც შეიძლება ითვალისწინებდეს. ისიც შესაძლებელია, რომ ბიოლოგიური სქესი განსხვავდებოდეს გენდერული იდენტობისაგან (გენდერული როლები იმ ქცევათა ერთობლიობაა, რომელსაც ჩვენი საზოგადოებები კონკრეტული სქესის ადამიანებს მიაკუთვნებენ).

ზოგადად, ბავშვების იდენტობის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება. თუ გავიხსენებთ „ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს* “, 3-4 წლის ასაკში ბავშვებს უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვთ საკუთარ იდენტობაზე; ცოტა უფრო დიდ ასაკში მათ უკვე შეუძლიათ საკუთარი თავი მიაკუთვნონ გარკვეულ ჯგუფს, მაგალითად, ოჯახს ან ქართველებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც გენდერული იდენტობაა, რომლის ჩამოყალიბებაც სწორედ სკოლამდელ ასაკში იწყება. ამ ასაკში აცნობიერებენ ბავშვები, რომ ბიოლოგიურად განსხვავებულები არიან და უჩნდებათ ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა ამ განსხვავების მიზეზის მიმართ. სწორედ აქედან ჩნდება მათი ინტერესი საკუთარი და სხვა სქესის სხეულებრივი განმასხვავებლების, ანუ, სასქესო ორგანოების მიმართ. ინტერესის დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება კვლევაა და, შესაბამისად, ბავშვებიც იწყებენ საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილების კვლევას, რაც ჩვენ, უფროსებს, ხშირად სექსუალური ლტოლვის დაკმაყოფილება ჰგონიათ და შეშფოთდებიან ხოლმე. არადა, ამ დროს ბავშვები ძალიან ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ცდილობენ, ამიტომ ეს არ უნდა დავუშალოთ მათ. თუ შევამჩნევთ მსგავს ქცევას ბაღში, შევეცადოთ შეუმჩნევლად სხვა რამეზე გადავატანინოთ ბავშვს ყურადღება. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მას (ყველანაირი შერცხვენისა და შენიშვნის გარეშე), რომ ეს პირადი ადგილებია და ჯობია „კვლევა-ძიების“ ეს პროცესი ისეთ დროს ხდებოდეს, როდესაც ვერავინ ხედავს.

* საქართველოს მთავრობა, დადგენილება N488, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 30 ოქტომბერი 2017, ჩამოტვირთულია *https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0*

გენდერული იდენტობის გაცნობიერებისთანავე იწყებენ ბავშვები იმ **გენდერული როლების** მორგებას და მოსინჯვას, რასაც თავის გარშემო აღმოაჩენენ. ბუნებრივი ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება საპირისპირო ბიოლოგიური სქესის როლებსაც სიამოვნებით ირგებდნენ. მაგალითად, გოგონამ ბოხი ხმა დაიყენოს და იყოს მამა სახლობანაში ან ბიჭმა თოჯინებით ითამაშოს. ამ ასაკში ბავშვებს ჯერ კიდევ არ გაუთავისებიათ ის მოლოდინი, რაც საზოგადოებას აქვს კაცებისა და ქალების მიმართ. ამიტომაა ეს ინტერესი ნებისმიერი როლის მიმართ, ჩვენ კი მათი ინტერესები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? - ამას მომდევნო თავებში წარმოგიდგენთ.

რომელი გენდერული როლები გახსენდებათ?

ჩამოწერეთ:

ქალების გენდერული როლები	მამაკაცების გენდერული როლები
დიასახლისობა	ფიზიკური სამუშაო

გენდერთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცნება, რომელიც ალბათ ხშირად გვესმის, არის **გენდერული სტერეოტიპები**.

სტერეოტიპი ზოგადად არის ობიექტურ მტკიცებულებებს მოკლებული მოსაზრება ან მოლოდინი ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე (მაგ., ქალებზე, მამაკაცებზე, ქართველებზე, სპორტსმენებზე და სხვა). სტერეოტიპული მოსაზრება/დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფის წევრების ერთ ან რამდენიმე საერთო მახასიათებელს მიაწერს ჯგუფის ყველა წევრს, მაშინ როდესაც ეს ადამიანები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. შეიძლება გოგონების გარკვეულ ნაწილს არ უყვარდეს მათემატიკა და მეცნიერება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გოგო ასეა.
უფრო მეტიც, ბიჭებშიც შეიძლება ზუსტად იგივე რაოდენობის ადამიანს არ უყვარდეს ეს საგნები. თუმცა საზოგადოებაში მაინც ხშირად გავიგებთ, რომ მათემატიკა და მეცნიერება ბიჭებს უფრო იზიდავთ და გამოსდით, ვიდრე გოგონებს. ეს კი სტერეოტიპია. სტერეოტიპები მრავლადაა ნებისმიერ საზოგადოებაში;

აქედან ზოგიერთი უარყოფითია (მაგალითად, გოგონები სუსტები არიან), ზოგი კი დადებითი (მაგალითად, გოგონები მზრუნველები არიან), თუმცა ყველა სტერეოტიპი ხელს უწყობს ცრურწმენების ჩამოყალიბებას, რომელიც სხვადასხვა გზით (მათ შორის სკოლამდელი განათლების დაწესებულებების საშუალებით) გადაეცემა თაობიდან თაობას.

ბაღების პერსონალისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებზე გენდერული სტერეოტიპების გავლენის გაცნობიერება, რადგან 7 წლამდე პერიოდში გენდერული სტერეოტიპები მკაფიოდ ყალიბდება, ეს კი გენდერულ სტერეოტიპებთან გამკლავების თვალსაზრისით სკოლამდელ წლებს კრიტიკულ პერიოდად აქცევს.

გენდერული სტერეოტიპებისგან განუყოფელი მოვლენაა **გენდერული მიკერძოება**, ანუ, როდესაც ადამიანს მხოლოდ იმიტომ მივაწერთ რაღაც თვისებას, რომ ის ქალი ან მამაკაცია. მაგალითად, შეიძლება ვინმე კონკრეტულ გოგონაზე გვიფიქრია, რომ ვარდისფერი უყვარს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის გოგოა და ზოგადად ვარდისფერი გოგონების ფერია? არადა, შეიძლება ამ კონკრეტულ ბავშვს სულაც არ უყვარდეს ეს ფერი.

როგორც ვთქვით, გენდერული სტერეოტიპები, - იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი - ცრურწმენების და Wწინასწარგანწყობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

შეეცადეთ გაიხსენოთ ზოგიერთი სტერეოტიპული გამონათქვამი, რომელიც თქვენ მიმართ გამოუყენებიათ და არც ისე სასიამოვნო ყოფილა. შეეცადეთ ჩამოწეროთ და მიუწეროთ, რატომ შეიძლება იყოს ზოგიერთი სტერეოტიპული გამოთქმა უსიამოვნო და რაში გვიშლის ხელს, მაგალითად, ადამიანის თავდაჯერებულობაზე ხომ არ მოქმედებს?

თუ თქვენს ჩამონათვალში ისიც ახსენეთ, რომ სტერეოტიპების გავლენით შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ ბავშვებმა ცუდად იგრძნონ თავი, ემოციურად დაითრგუნონ ან, უბრალოდ, არ მივცეთ მათთვის საინტერესო და განმავითარებელ საქმიანობაში ჩართვის საშუალება - ესე იგი, **გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა ან გენდერული ნიშნის საფუძველზე ძალადობის** მაგალითები მოგიყვანიათ. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაა, როდესაც ბავშვებს არათანაბარ პირობებში ვაყენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კონკრეტულ სქესს მიეკუთვნებიან. გენდერული ნიშნით ძალადობას განეკუთვნება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა ნებისმიერი ტიპის ძალადობა, რომლის მიზეზიც ბიოლოგიური სქესი ან გენდერული იდენტობაა. ალბათ ადვილად შეიძლება ისეთი შემთხვევების გახსენება, რომლის დროსაც ბავშვი გამხდარა თანატოლების ან უფროსებისგან დაცინვის და შეურაცხყოფის სამიზნე მხოლოდ იმიტომ, რომ არ ასრულებს საზოგადოებაში გავრცელებულ, მისი ბიოლოგიური სქესისთვის შესაფერის როლს. ალბათ ხშირად გაგიგონიათ ბიჭზე, რომელიც ხშირად ტირის, რომ ის ,,ქალაჩუნაა". ასეთი ბავშვისთვის ალბათ ხშირად უთქვამთ ,,რა გატირებს, კაცი არა ხარ? თუ ქალი ხარ?" თუ გიფიქრიათ, როგორ გრძნობს ამ დროს ბავშვი თავს? ალბათ ემოციურად არც ისე კარგად.

იცით თუ არა, რომ:

- საბაზისო განათლების დასრულების სემდეგ, ბიჭები უფრო ხშირად წყვეტენ სკოლაში სწავლას, ვიდრე გოგონები.
- ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები და მათი ხელფასიც დაბალია, თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორში. ბიზნეს სექტორში მომიშავე ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 67 პროცენტს შეადგენდა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, ქალი და კაცი საქართველოში

გენდერული თანასწორობა ჰქვია იმ მოცემულობას, როდესაც არავინ იჩაგრება საკუთარი სქესისა თუ გენდერული იდენტობის გამო და ნებისმიერი გენდერული იდენტობის თუ სქესის წარმომადგენელ ადამიანს თანაბარი უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები აქვს. გენდერული თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალები და მამაკაცები იდენტურები არიან. პირიქით, გენდერული თანასწორობა მოიაზრებს იმას, რომ სხვადასხვა სქესისა თუ გენდერის წარმომადგენლებს განსხვავებული თავისებურებები და საჭიროებები აქვთ და სწორედ ამ საჭიროებების და თავისებურებების გათვალისწინებაა აუცილებელი ნებისმიერ სიტუაციაში. გენდერულად თანასწორი საზოგადოება უმნიშვნელოვანესია, რადგან, პირველ რიგში, ის უსამართლობას, ძალადობასა და დისკრიმინაციას უპირისპირდება. ამიტომ ნებისმიერი საზოგადოება უნდა ცდილობდეს დაიცვას ეს პრინციპი და შექმნას გენდერულად თანასწორი გარემო (გარემოშიიგულისხმება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა და ფიზიკური მოცემულობები, არამედ ემოციური და ღირებულებითი სისტემაც).

ბაღებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება **გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური მიდგომების** დანერგვაა. ვიყოთ გენდერულად პასუხისმგებლიანები, ეს ნიშნავს ბავშვებთან ნებისმიერი ინტერაქციის (საუბარი, თამაში, მოქცევა, სწავლება და ა.შ.) დროს შევეწინააღმდეგოთ არსებულ სტერეოტიპებს და გავითვალისწინოთ ის განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და თავისებურებები, რომლებიც ბიჭებს და გოგონებს აქვთ.

მაგალითად, გენდერულად პასუხსიმგებლიანად ვიქცევით, როდესაც ბიჭს, რომელიც წაიქცა და ტირის, ნაცვლად იმისა, რომ ვუთხრათ ,,ნუ ტირი, ბიჭები ხომ მტირალები არ არიან?'' თანავუგრძნოთ და ვაგრძნობინოთ, რომ ვწუხვართ მისი ტკივილის გამო: ,,ძალიან ვწუხვარ, რომ იტკინე, ალბათ მაგიტომ გეტირება. როგორ დაგეხმარო? რა გავაკეთოთ, რომ ტკივილმა გაგიაროს? მოდი დავსხდეთ და წიგნები დავათვალიეროთ, იქნებ გახალისდე''.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური მიდგომები გულისხმობს ბავშვებთან მუშაობის ისეთ სტილს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გოგონებისა და ბიჭების სპეციფიკურ სასწავლო საჭიროებებს. გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომები ბაღის თანამშრომლებს უბიძგებს დაფიქრდნენ საკუთარ შეხედულებებზე:. ხომ არ არის ეს შეხედულებები სტერეოტიპული? ანუ, ის, რაც გოგონების ან ბიჭებისთვის არის დამახასიათებელი, ბიოლოგიურად არის განპირობებული, თუ საზოგადოებამ ან კონკრეტულმა თემმა განუსაზღვრა მათ? გენდერულად პასუხისმგებლიანი უნდა იყოს ჩვენ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ ბავშვების გენდერული იდენტობით განპირობებულ საჭირობებზე როგორც კურიკულუმის და საქმიანობების/აქტივობების/თამაშების დაგეგმვისას, ასევე მათი განხორციელების დროს. გენდერულად პასუხისმგებლიანი უნდა იყოს ასევე ფიზიკური გარემო და ის რესურსები და მასალა, რომელიც გვაქვს ჯგუფში. ძალიან ხშირად ეს ასე არ არის და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ვხვდებით სახელმძღვანელოებს და საბავშვო წიგნებს, რომლებშიც მამაკაცები არიან ექიმები, მეცნიერები და ინჟინრები, ქალები კი ექთნები ან მდივნები, ასეთი რესურსები კი სტერეოტიპების გაჩენას უწყობენ ხელს.

თუ რატომ აქვს გენდერულად პასუხისმგებლიან მიდგომებს ბაღში გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამას შემდეგ თავში შევიტყობთ. მანამდე კი გთავაზობთ სახალისო სავარჯიშოებს, რომელიც კიდევ უფრო დაგვეხმარება ზემოთ აღწერილი ცნებების გააზრებაში.

დამალული სიტყვები

ამ ცხრილში ზემოთ განხილული ტერმინებია დამალული. შეეცადეთ იპოვოთ ეს ტერმინები, გაიხსენოთ, რას ნიშნავს თითოეული და რა ვთქვით მათზე.

კ	ბ	წ	ც	გ	ს	ვ	ლ	ჰ	წ	ო	დ	ნ	ფ
ს	ტ	ე	რ	ე	ო	ტ	ი	პ	ი	პ	ვ	ფ	ტ
ჰ	ჰ	დ	გ	ნ	ღ	ა	რ	გ	ლ	ზ	ს	ყ	ა
ო	ჯ	მ	მ	დ	ს	ქ	ე	ს	ი	ხ	ა	ტ	ს
ბ	ფ	ტ	ი	ე	ვ	ძ	ა	ლ	ა	დ	ო	ბ	ა
უ	დ	ნ	წ	რ	ო	ლ	ი	ყ	ე	კ	ვ	რ	ფ
ჰ	ყ	ს	ვ	ი	ს	ი	დ	ე	ნ	ტ	ო	ბ	ა
დ	ი	ს	კ	რ	ი	მ	ი	ნ	ა	ც	ი	ა	ჰ
ტ	ღ	ქ	ბ	წ	ე	უ	პ	ს	ბ	ა	ლ	ხ	ბ
ფ	თ	ა	ნ	ა	ს	წ	ო	რ	ო	ბ	ა	ზ	ჯ
ვ	კ	ფ	ჰ	ს	ნ	ლ	ტ	კ	ნ	ს	ბ	ა	ნ
ც	მ	ხ	ტ	დ	ნ	ო	გ	ო	მ	დ	ვ	ქ	მ

დამალული ტერმინები: სტერეოტიპი, გენდერი, სქესი, ძალადობა, დისკრიმინაცია, თანასწორობა, იდენტობა

ამოიცანი სტერეოტიპი

წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები და შეეცადეთ განსაზღვროთ, რომელია მათ შორის გენდერული სტერეოტიპი.

		სტერეოტიპია	არ არის სტერეოტიპი
1	ბავშვზე მხოლოდ ქალები უნდა ზრუნავდნენ		
2	ბევრი საუბარი და ე.წ. „ჭორაობა“ ქალის ქცევაა		
3	გოგონები ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით უფრო სუსტი არსებები არიან, ვიდრე ბიჭები		
4	გოგონების და ბიჭების ანატომია ერთმანეთისგან განსხვავდება		
5	გოგონები და ბიჭები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ბევრ რამეში, თუმცა განსხვავებული საჭიროებები შეიძლება ჰქონდეთ.		
6	ბიჭები არ ტირიან		
7	ემოცია ყველას ერთნაირი აქვს - გოგოსაც და ბიჭსაც		
8	ქალი უფრო თავშეკავებული უნდა იყოს, ვიდრე კაცი		
9	გოგოები უფრო მშრომელები არიან, ბიჭები კი მეტად ნიჭიერები და ჭკვიანები		

კვლევის მიგნება

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აღმზრდელებისა და პედაგოგების აზრით, უზრდელობა, ცუდი ქცევა (გინება/ცუდი სიტყვები) ბიჭისთვისაც შეუფერებელი ქცევაა და გოგოსთვისაც, მაგრამ, როდესაც იმის ამორჩევა უწევთ, თუ ვისთვის უფრო შეუფერებელია მსგავსი ქცევა, ისინი ასახელებენ გოგონებს. ამას იმით ხსნიან, რომ „ქალს, როგორც ნაზ არსებას, უზრდელობა არ შეშვენის“.

თქვენ რამდენად ეთანხმებით კვლევის ამ მიგნებას?	სტერეოტიპული ხომ არ არის ეს მოსაზრება? ის თვისება, რომელსაც გოგოს ან ბიჭს მივაწერთ, ბიოლოგიური ფაქტორებით არის განპირობებული თუ საზოგადოების მიერაა მიკუთვნებული?

რატომ გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა?

ამ ნაწილში ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო და სხვა პროცესები იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი, რაც ვფიქრობთ, კიდევ უფრო გაზრდის ბაღის პერსონალის მოტივაციას, შექმნას გარემო, რომელიც ყველა ბავშვს თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს და სადაც ყველა ბავშვი ერთნაირად დაფასებულად იგრძნობს თავს.

ცოტა რამ საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობაზე

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა გენდერული თანასწორობის წინაპირობაა, ვინაიდან ის ხელს უწყობს ყველა ბავშვის თანაბარ ჩართვას განმავითარებელ პროცესებში და ასევე ათავისუფლებს მათ იმ თავსმოხვეული მოსაზრებებისგან, რომლებიც მომავალში გენდერულ დისკრიმინაციას და ჩაგვრას წარმოშობს. ამ ყოველივეს საერთაშორისო საზოგადოება და სახელმწიფოებიც აღიარებენ. სწორედ ამიტომ გახდა გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპების აღმოფხვრა, გენდერული დისკრიმინაცია და თანაბარი უფლებები არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო დოკუმენტის აქტუალური საკითხი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ბავშვის უფლებათა კონვენცია

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ბავშვთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია. ეს იურიდიული დოკუმენტი 1989 წელს იქნა მიღებული. საქართველო ამ კონვენციას მიღებიდან 5 წელიწადში -1994 წელს შეუერთდა. კონვენცია უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, ხარისხიანი განათლების, ძალადობისგან დაცვის და მონაწილეობის უფლებას ყველა ბავშვისთვის თანაბრად, განურჩევლად სქესის, რელიგიური მრწამსის, ეროვნების, შესაძლებლობის, სოციალური სტატუსისა თუ სხვა. ჩვენი პრაქტიკისთვის ეს ნიშნავს იმას, რომ ბაღში მიმდინარე პროცესები ერთნაირად განმავითარებელი და სასარგებლო უნდა იყოს ყველასთვის.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი უშუალოდ ბავშვებში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის აუცილებლობაზეა. ვფიქრობთ, წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში გაწერილი ვალდებულებები უფრო ნათელს გახდის, თუ რატომ უნდა გახდეს ბაღებში მიმდინარე პროცესები გენდერულად პასუხისმგებლიანი.

- **თუ თქვენ გაქვთ ტელეფონი, რომელსაც აქვს კამერა და დაკავშირებულია ინტერნეტთან, მოათავსეთ მოცემული შიფრი კამერის ობიექტივში და ტელეფონი გაგიხსნით ინტერნეტის გვერდს, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ კონვენციის სრულ ტექსტს.**

საქართველოს კონსტიტუცია

სამართლის წინაშე თანასწორობა ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა. შესაბამისად, კონსტიტუცია კრძალავს ნებისმიერი სახის, მათ შორის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას.

იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო

1960 წელს გაეროს საგანმანთლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის (იუნესკოს) მიერ მიღებული კონვენცია გვეუბნება, რომ დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და სახელმწიფოებმა ყველას თანაბარი შესაძლებლობები უნდა შეუქმნას, როდესაც საქმე ეხება განათლების მიღებას, რადგან განათლება აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად.

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

გაეროს ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი გვამცნობს განათლების სისტემებში ქალთა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტში ხაზგასმულია განათლების როლი სტერეოტიპების აღმოფხვრის პროცესში. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით განათლების ყველა საფეხურზე უნდა გამოვიყენოთ სწავლების სხვადასხვა მეთოდები და შევთავაზოთ ბავშვებს ერთობლივი სწავლების საშუალებები, რათა აღმოიფხვრას სტერეოტიპები მამაკაცებისა და ქალების როლების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად კონვენცია გვთავაზობს სახელმძღვანელოების და პროგრამების გადახედვას და სწავლების მეთოდების ადაპტაციას. სწორედ სწავლების მეთოდების გადახედვაში ეხმარება მოცემული გზამკვლევი ბაღებს.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრის აუცილებლობაზე გვესაუბრება „სტამბოლის კონვენციის" სახელით ცნობილი აქტია. ევროპის საბჭოს ეს კონვენცია პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს, ჩართონ განათლების ყველა დონეზე საგანმანათლებლო პროგრამებსა და მასალაში ისეთი საკითხები როგორიცაა „ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება" (მუხლი 14).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები

ეს სახელმწიფო სტანდარტები, რომელიც სავალდებულოა ყველა ბაღისათვის, აწესებს, რა ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები და დამოკიდებულებები უნდა შეიძინონ ბავშვებმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. გარდა ამისა, სტარნდარტი ნათლად განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი სკოლამდელი განათლება და როგორი უნდა იყოს გარემო, ურთიერთობები და საგანმანათლებლო პროცესი ბაღებში. ხარისხის სტანდარტი პირდაპირ გვეუბნება, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა არ უნდა გამოარჩიოს ბავშვები გენდერული ნიშნით და უნდა უზურნველყოს გოგონებისა და ბიჭების ყველა ტიპის საქმიანობაში მონაწილეობა.

საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს მარეგულირებელი მთავარი დოკუმენტის მიხედვით ბაღები ვალდებულნი არიან დანერგონ საგანმანათლებლო მიდგომები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, განურჩევლად მათი ნებისმიერი, მათ შორის გენდერული, მახასიათებლისა. თუ რას გულისხმობს ხარისხიანი განათლება ადრეულ და სკოლამდელ საფეხურზე, ამას სახელმწიფო სტანდარტები ადგენს.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისთვის აუცილებელ ცოდნას, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს ეხება, არის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. ვინაიდან ჩვენი მთავრობაც აღიარებს ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის როლს ბავშვების დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და თანასწორობის უზრუნველყოფაში, სტანდარტში ჩაიდო დებულება, რომლის მიხედვითაც აღმზრდელ-პედაგოგმა ხელი უნდა შეუწყოს სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლასა და ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც შეამცირებს ბავშვებისა თუ უფროსების მიერ სხვადასხვა ნიშნის (ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, გენდერული და სხვა) საფუძველზე გამოვლენილ დისკრიმინაციას.

რომელია ზედმეტი

ქვემოთ ჩამოთვლილი მარეგულირებელი დოკუმენტებიდან შემოხაზეთ ერთი, რომელიც არ ეხება გენდერულ საკითხს.

ა) საქართველოს კონსტიტუცია

ბ) საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

გ) ბავშვის უფლებათა კონვენცია

რომელია ზედმეტი

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან რომელი განსხვავდება დანარჩენი ორისაგან? რატომ ფიქრობთ ასე?

ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი

ბ) გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

გ) აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

იპოვე სწორი პასუხი

ჩამოთვლილი საკანონმდებლო დოკუმენტებიდან მონიშნეთ რამდენიმე, რომელიც უშუალოდ სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია
- იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია
- იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია
- საქართველოს კონსტიტუცია
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია
- საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები

გენდერულად პასუხისმგებლიანი ბაღის პრაქტიკის სარგებელი

ზემოთ განხილული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ პირველი მიზეზი, რის გამოც ჩვენი პრაქტიკა **გენდერულად პასუხისმგებლიანი** უნდა იყოს, არის საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი დოკუმენტებით დაკისრებული ვალდებულება. ახლა კი უფრო დეტალურად ვნახოთ, რა სარგებელი მოაქვს გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიურ მიდგომებს სხვადასხვა მეცნიერული მიგნებების მიხედვით.

თანაბარი შესაძლებლობები ყველას

როგორც ზემოთ ვნახეთ, გენდერულად პასუხსიმგებლიანი მიდგომები ითვალისწინებს გოგონების და ბიჭების თავისებურებებს და თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის მათ. ანუ, გოგონებსაც და ბიჭებსაც აქვთ საშუალება, მსგავსი გამოცდილებები მიიღონ ბაღში; მაგალითად, თუ გოგონები თოჯინებით თამაშობენ და ამით გარკვეულწილად ბავშვზე მზრუნველობას სწავლობენ, ბიჭებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ ეს. ამით გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ არც-ერთი ბავშვის ინტერესი არ არის უგულებელყოფილი. თანაბარი შესაძლებლობების შექმნა არ გულისხმობს მხოლოდ ბაღში მიმდინარე პროცესებში თანაბარ ჩართულობას. ეს ასევე გულისხმობს ბავშვებში საკუთარ თავსა და სხვებზე ისეთი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც არ შეზღუდავს მათ ცხოვრების არც ერთ ეტაპზე. მაგალითად, თუ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გავლენით, ბაღიდანვე მივაჩვევთ ბავშვებს იმას, რომ სპორტული თამაშები უფრო ბიჭების საქმეა, ვიდრე გოგონების, მონაცემების მიუხედავად ბევრმა გოგომ შეიძლება არ აირჩიოს სპორტული კარიერა, - ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ბაღშივე შევუზღუდეთ ასეთ გოგონებს სპორტში ასპარეზობის შესაძლებლობა.

კვლევის მიგნება

ჩვენს კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი მშობელი რესპონდენტის მიხედვით, სტერეოტიპმა, რომ მათემატიკას ბიჭები უკეთ სწავლობენ, ვიდრე გოგონები, გავლენა მოახდინა მისი ქალიშვილის ქცევაზე. მისი თქმით, მან ქალიშვილი შეიყვანა კომაროვისთვის მოსამზადებელ სკოლაში, თუმცა, თავად ბავშვმა განაცხადა, რომ მას, როგორც გოგოს, მათემატიკა კარგად არ გამოსდიოდა და თავი დაანება ამ მიმართულებით განვითარებას.

ბავშვის ემოციური კეთილდღეობა

სტერეოტიპებისგან თავისუფალი პრაქტიკა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა დადებითად მოქმედებს **ბავშვების ემოციურ კეთილდღეობაზე**.მოდით დავფიქრდეთ, როგორ გრძნობენ თავს გოგონები, რომლებსაც დავაჯერებთ, რომ მათ ბიჭებთან შედარებით ნაკლებად გამოსდით რაიმე მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონები არიან? ალბათ, გასაკვირი არაა, რომ ეს ამ გოგონების თავდაჯერებულობაზე იმოქმედებს

უარყოფითად, რასაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მძიმე შედეგები შეიძლება ჰქონდეს. ან წარმოვიდგინოთ ბიჭი, რომელსაც მუდმივად ვეუბნებით, რომ ემოციების გამოხატვა არ არის ბიჭისთვის შესაფერისი. რას გრძნობს ის, როდესაც ეტირება და ცდილობს შეიკავოს ტირილი? რა წარმოდგენა ექმნება საკუთარ თავზე? ხომ არ იფიქრებს, რომ ის არ არის ნამდვილი ბიჭი, რადგან ხშირად ეტირება ან რომ ასეთი მტირალა არ ეყვარებათ საყვარელ ადამიანებს? ახლა დავფიქრდეთ, რას გრძნობენ ბავშვები, რომლებსაც სჯერათ, რომ თუ სურვილი ექნებათ და ძალისხმევას არ დაიშურებენ, ნებისმიერი პროფესიის თუ საქმიანობის შესრულებას შეძლებენ მარტივად და არავინ გაკიცხავს მათ ამის გამო. გოგონებს შეეძლებათ ასტრონავტები და დინოზავრების მკვლევრები გამოვიდნენ, ბიჭები კი ექთნები, მოცეკვავეები ან სულაც უბრალოდ მამები იქნებიან. წარმოიდგინეთ ბავშვები, რომლებმაც იციან, რომ ისინი ისეთები უყვართ გარშემომყოფებს, როგორებიც არიან. განსხვავება ამ ბავშვების ემოციურ მდგომარეობაში ცალსახაა.

ბავშვის ჰოლისტური განვითარება

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა **ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას** უწყობს ხელს (ეს გულისხმობს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას, როდესაც თანაბარი ყურადღება ექცევა ბავშვის განვითარების სტანდარტში მოცემულ განვითარების ყველა სფეროსა და თემატურ მიმართულებას). ბავშვების ჰოლისტური განვითარებისთვის საუკეთესოა მრავალფეროვანი გამოცდილებები, რადგან როგორც ცნობილია, ბავშვები სწორედ გამოცდილებით, თამაშით და ურთიერთობით სწავლობენ. ეს მრავალფეროვნება მოითხოვს იმას, რომ გოგონებიც ბიჭების მსგავსად ერთვებოდნენ სპორტულ აქტივობებში, თამაშობდნენ მანქანებით და კუბურებით, ხოლო ბიჭებს ჰქონდეთ საშუალება მოირგონ მზრუნველი ადამიანების როლი და თამამად გამოხატონ ემოციები. გარდა ამისა, გენდერულად პასუხსიმგებლიანი პრაქტიკის ფარგლებში ბავშვებს ვთავაზობთ გამოცდილებებს, რომლებიც გაზრდის მათ ცოდნას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით და დაეხმარება მათ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებაში, რაც ასევე ჰოლისტური განვითარების ნაწილია.



სტერეოტიპების შემცირება

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა ბავშვებში სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლაში გვეხმარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სტერეოტიპული დამოკიდებულებები ბევრ რამეში გვიშლის ხელს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამას შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე და ხელი შეუშალოს მის ჰოლისტურ განვითარებას, რადგან ბავშვებისა და ჩვენმა საკუთარმა სტერეოტიპულმა დამოკიდებულებებმა შეიძლება ხელი შეგვიშალოს ყველა ბავშვისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში. სტერეოტიპები განსაზღვრავს ჩვენს მოლოდინებს კონკრეტული ჯგუფის წევრების მიმართ და ვინაიდან სტერეოტიპები ძირითადად არ ეფუძნება ობიექტურ მოცემულობებს (მეცნიერთა მიგნებებს ან კვლევებით დადასტურებულ მტკიცებულებებს), მოლოდინიც, რომელიც ამ მოსაზრებების გამო გვაქვს, არ იქნება მართებული. მაგალითად, მასწავლებლები გოგონებისგან შეიძლება მეტ სიბეჯითეს ელოდნენ, ვიდრე ბიჭებისაგან, რადგან არსებობს სტერეოტიპი, რომ გოგონები უფრო ბეჯითები არიან, ხოლო ბიჭები ნიჭიერები/ჭკვიანები, მაგრამ ზარმაცები. შესაბამისად, გოგონების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისას შეიძლება უფრო მკაცრები იყვნენ, რადგან გოგონებს, როგორც ბეჯითებს, მეტი მოეთხოვებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეულწილად ჩვენი სტერეოტიპები ობიექტურობას გვაკარგვინებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, საკუთარი თავის და შესაძლებლობების არასწორმა აღქმამ, რასაც ხშირად სტერეოტიპი განაპირობებს, შეიძლება აწმყო და სამომავლო მოსწრებაზე, პროფესიის არჩევასა და ცხოვრებისეულ წარმატებაზე იქონიოს გავლენა. ეს ყველაფერი თვით-რეალიზებაზე მოქმედებს უარყოფითად, რაც საზოგადოებისათვის არც ისე სასარგებლოა.

თანაბარი შესაძლებლობების შექმნით გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა მნიშვნელოვნად ამცირებს გენდერულ დისკრიმინაციასა და ძალადობას ბაღებში, რადგან არც ერთი ბავშვი არ რჩება პროცესებს მიღმა და არ არის უგულებელყოფილი.

იცით თუ არა, რომ:

2017 წელს საქართველოში გამოკითხული ქალების თითქმის 14%-მა განაცხადა, რომ წარსულში გამოუცდია ბავშვთა მიმართ ძალადობის რაიმე ფორმა

წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2018, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში,

გამოტოვებული სიტყვები

შეარჩიეთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან შესაბამისი სიტყვა და ჩასვით წინადადებაში.

1. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა გვეხმარება ბავშვებისთვის ..... უზრუნველყოფაში.

ა) გენდერული სტერეოტიპების

ბ) თანაბარი შესაძლებლობების

გ) უცხო ენის სწავლების

2. ჰოლისტური განვითარება გულისხმობს ბავშვის .....

ა) უშუალოდ გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებას

ბ) როგორც განვითარების სფეროების (ფიზიკური, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი და ა.შ.) ნაკრების აღქმას

გ) მრავალმხრივ განვითარებას

3. სტერეოტიპები ..... ბავშვის მიმართ სწორი მოლოდინის ჩამოყალიბებაში.

ა) გვეხმარება

ბ) ხელს გვიშლის

მოიფიქრე

მოიფიქრეთ ბავშვის რამდენიმე მახასიათებელი, რომელზეც არანაირი გავლენა არ აქვს ბავშვების მიმართ გამოყენებულ სტერეოტიპულ გამონათქვამებსა და ქცევას.

ნიმუში: ბავშვის სიმაღლე, ----------

როგორ გავხადოთ ჩვენი პრაქტიკა და საგანმანათლებლო პროცესი გენდერულად პასუხისმგებლიანი?

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია კონკრეტული რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ ჩვენი პრაქტიკა შეესაბამებოდეს გენდერულად პასუხისმგებლიან მიდგომებს. გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომების პრაქტიკაში დანერგვისთვის გთავაზობთ ბაღის თანაშრომლებისათვის უკვე კარგად ნაცნობ „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე" ციკლს, რომელსაც შესაბამისი პერსონალი ხშირად იყენებს ბაღში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას..

დაგეგმვა

დაგეგმვის ეტაპზე უნდა მოვიფიქროთ, რას შევთავაზებთ ბავშვებს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, ყველა თანაბრად ჩაერთოს საქმიანობებში და, შესაბამისად, განვითარების ერთნაირი შესაძლებლობა ჰქონდეთ და, მეორე მხრივ, გაიზარდოს მათი ცოდნა გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თუ აქამდე არ გიფიქრიათ და შეგიფასებიათ, რამდენად არის თქვენი პრაქტიკა გენდერულად პასუხისმგებლიანი, მაშინ დაგეგმვის პროცესი სწორედ ასეთი შეფასებით უნდა დავიწყოთ, ამაში კი საკუთარ თავსა და ბავშვებზე დაკვირვება და რეფლექსია (გააზრება, ფიქრი, გაანალიზება) დაგვეხმარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ და შევაფასოთ ბაღის ფიზიკური გარემო და ურთიერთობები, რაც ყალიბდება ბაღში ბავშვებს, უფროსებსა და ბავშვებსა და უფროსებს შორის.

კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ, იმისათვის, რომ ჩვენი ქცევა, ურთიერთობა და დამოკიდებულებების გახდეს უფრო გენდერულად პასუხისმგებლიანი?

შევაფასოთ, როგორ ვურთიერთობთ და ვიქცევით ბავშვებთან

გავიხსენოთ, რას ვაკეთებთ, რაც ხელს უწყობს ყველა ბავშვის თანაბარ ჩართულობას

აღმოვაჩინოთ, რა საჭიროებს გაუმჯობესებას და დამატებით მუშაობას

მოვიფიქროთ, რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ სიტუაციის გასაუმჯობესებლად ბავშვების საჭიროებების და არსებული რესურსის გათვალისწინებით

საკუთარ თავზე დაკვირვება და თვითრეფლექსია საკუთარი პრაქტიკის შეფასების და გაუმჯობესების მიზნით

პირველ რიგში მნიშვნელოვანია შევაფასოთ, როგორ ვურთიერთობთ და ვიქცევით ბავშვებთან და რითი არის განპირობებული ჩვენი ქცევა და ურთიერთობის სტილი. გადახედეთ დაკვირვების და თქვენი რეფლექსური დღიურის ჩანაწერებს და შეეცადეთ ამოიცნოთ თქვენი ქცევა, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს რომელიმე გენდერული სტერეოტიპით, ანუ, საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებით, რომელიც შეიძლება არ იყოს მართალი ყველა ბიჭისა ან გოგოს შემთხვევაში. თუ ამ ჩანაწერებში ვერაფერი ნახეთ ან დაკვირვების ჩანაწერებს და რეფლექსიურ დღიურს საერთოდ არ აწარმოებთ, შეეცადეთ მეხსიერებაში აღიდგინოთ თქვენი ურთიერთობა და ქცევა ბავშვებთან. დაწერეთ ფურცელზე ქცევის, მიმართვების, საუბრის სტილის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც, თქვენი აზრით, განპირობებულია სტერეოტიპებით ან აღვივებს ბავშვებში სტერეოტიპულ აზროვნებას. იქვე მიაწერეთ, თუ რა სტერეოტიპები განსაზღვრავს თქვენს ქცევას ბავშვებთან ან რა სტერეოტიპების გაღვივებას უწყობთ ხელს ამ კონკრეტული ქცევით? მესამე ნაბიჯი კი იმის იდენტიფიცირება იქნება, თუ როგორ შევცვალოთ ეს კონკრეტული ქცევა. ამისთვის, პირველ რიგში, მოძებნეთ ჩანაწერებში ან გაიხსენეთ თქვენი პრაქტიკიდან ისეთი შემთხვევები, როდესაც თქვენ გენდერულად პასუხისმგებლიანად მოიქეცით. მაგალითად, წარმატებით ჩართეთ გოგონები ფეხბურთის თამაშში ბიჭებთან ერთად ან შეეწინააღმდეგეთ რომელიმე ბავშვის მიერ გამოთქმულ სტერეოტიპულ მოსაზრებას. შეეცადეთ დამატებით

მოიფიქროთ კონკრეტული ფრაზები, რომლებიც ჩაანაცვლებს სტერეოტიპულ გამონათქვამებს ან აქტივობები, რომლებიც დაგეხმარებათ, რომ თქვენი ინტერაქცია კიდევ უფრო გენდერულად პასუხისმგებლიანი გახდეს. ქვემოთ გთავაზობთ სანიმუშო ცხრილს, რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ. მასში მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომელიც კონკრეტული სტერეოტიპით არის განპირობებული;

აქვე წარმოდგენილია ასევე გამოსავალი:

ჩემი სტერეოტიპული ქმედებები	სტერეოტიპი, რომელიც განსაზღვრავს ჩემს ქცევას ან რომელსაც ვაღვივებ ჩემი ქცევით	რითი ჩავანაცვლო ეს ქმედება?
მე დრამატულ ცენტრში თოჯინებით თამაში შევთავაზე გოგონებს, რომლებიც არ თამაშობენ კუბურების ცენტრში.	კუბურები, მშენებლობა ბიჭებისთვის უფრო საინტერესოა, გოგონებს კი თოჯინები ურჩევნიათ.	ვკითხო რატომ არ თამაშობენ გოგონები კუბურების ცენტრში და შევეცადო უფრო საინტერესო გავხადო მათთვის ეს სივრცე. მათთან ერთად მოვიფიქრო და შევიტანო ახალი მასალა, მაგალითად, მათთვის სასურველი სათამაშო ფიგურები (ადამიანები ან ცხოველები), ვკითხო, რომელი კონსტრუქციის აგება იქნება მათთვის საინტერესო, შეიძლება ეს იყოს სახლი ბაღით ან საბავშვო ბაღი.
ხშირად სადილისთვის სუფრის გაწყობაში დახმარებას მხოლოდ გოგონებს ვთხოვ.	სახლის საქმეები გოგონების საქმეა.	ბავშვებთან ერთად შევქმნა ,,მაგიდის გაწყობის დამხმარეთა საზოგადოების'' განრიგი და გამოვაკრა თვალსაჩინო ადგილას. ბიჭებიც ისევე ჩავრთო ამ ,,საზოგადოების'' საქმიანობაში, როგორც გოგონები.

გიორგი წაიქცა, მე კი ვუთხარი: „შენ ხომ ძალიან მაგარი ბიჭი ხარ? ჰოდა ნუ ტირი, თორემ ყველა იფიქრებს, რომ არ ხარ მაგარი“.	ძლიერები არ ტირიან. კაცები კი უფრო ძლიერები არიან. ამიტომ კაცებისთვის ემოციების გამოხატვა მეტად შეუფერებელი საქციელია, ვიდრე ქალისთვის.	შემდეგში ვუთხრა: „მესმის, რომ გეტკინა და ძალიან ვწუხვარ. როგორ დაგეხმარო?“ და სიტუაციიდან გამოსავალი შევთავაზო

ბავშვებზე დაკვირვება

როგორ გამოვიყენოთ ბავშვებზე დაკვირვება გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დაგეგმვისას?

1. დავაკვირდეთ ბავშვებს მათი ცოდნის, დამოკიდებულებების, ქცევის, ინტერესების და სხვა თავისებურებების აღმოსაჩენად
2. ვიპოვოთ ძლიერი მხარეები და ინტერესები და საჭიროებები, რომლებსაც გამოვიყენებთ მათთვის შესაფერისი საქმინაობების დასაგეგმად
3. დავგეგმოთ საქმიანობები ამ ინტერესების და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად

როგორც ნებისმიერი სხვა პროცესის დაგეგმვის დროს, ბავშვებზე დაკვირვებას გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის შექმნისთვისაც უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. ბავშვებზე დაკვირვების საფუძველზე ჩვენ უნდა დავადგინოთ:

a. რა იციან და რა აინტერესებთ ბავშვებს გენდერული საკითხების მიმართულებით? (ეს შეიძლება იყოს სხეულებრივ განსხვავებულობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა).

b. რა სტერეოტიპულ გამონათქვამებსა და ქცევას იყენებენ ბავშვები ერთმანეთის მიმართ? ხშირად ბავშვები უკვე ბაღის ასაკში იყენებენ სტერეოტიპულ გამონათქვამებს და გავრცელებული სტერეოტიპები მათ ქცევაზეც ახდენს გავლენას. ამის ძალიან გავრცელებული მაგალითია ის, რომ გოგონები ცდილობენ, არ დასხდნენ ლურჯ ან ცისფერ სკამებზე, ბიჭები კი ვარდისფერ სკამებზე დაჯდომისგან იკავებენ თავს.

c. რა საქმიანობები და აქტივობები აინტერესებთ მათ? ამ საქმიანობებისა და აქტივობების ცოდნა დაგვეხმარება იმაში, რომ გენდერული საკითხები მივაწოდოთ ბავშვებს მათთვის საინტერესო კუთხით. ვთქვათ, თუ ვიცით, რომ ბავშვები ხშირად ირჩევენ წიგნის კითხვას, შევეცადოთ მოვძებნოთ წიგნები, სადაც გენდერი საინტერესო კუთხით იქნება წარმოდგენილი.

გადახედეთ თქვენ მიერ გაკეთებულ დაკვირვების ჩანაწერებს და შეეცადეთ მათში ამოიკითხოთ ბავშვების ინტერესი ან ცოდნა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითისთვის განვიხილოთ დაკვირვების ასეთი ჩანაწერი 4 წლის მართასა და ანაზე: „ანა ყოველთვის ითხოვს გოგონებთან ერთად დაჯდომას და ხშირად ტირის იმის გამო, თუ გოგონებთან ადგილი ვერ ნახა. დღესაც იგივე მოხდა, მართა კი მივიდა და უთხრა: „იცი რა, მე ხან ანასტასიასთან ვჯდები, ხან ნინოსთან, ხან გიოსთან და ხან დათუნასთან (თან ხელს იშვერს დასახელებული ბავშვებისკენ), სადაც ადგილია, იქ ვჯდები. ბიჭებთანაც ძალიან კარგია, იმიტომ, რომ ბევრი ერთნაირი რაღაცები გვიყვარს და ადვილად ვლაპარაკობთ და ვთამაშობთ“. ამ ჩანაწერიდან ბევრი რამ ჩანს, მათ შორის ის, რომ მართას უკვე შეუძლია საკუთარი და სხვების გენდერული იდენტობის ამოცნობა და ისიც იცის, რომ ბიჭებს და გოგონებს შეიძლება ბევრი საერთო ჰქონდეთ. ანას კი შეიძლება დამატებით დახმარება სჭირდებოდეს ამ მიმართულებით. შესაბამისად, აღმზრდელმა უკვე იცის, რომ გენდერულ საკითხებზე ბავშვებთან საუბრისას შეიძლება ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ რა საინტერესოა ერთად თამაში და შესთავაზოს ანას და მართას ისეთი აქტივობა, სადაც ბიჭები და გოგოები ერთად სხედან.

ფიზიკური სივრცის მოწყობა.

როგორ მოვაწყოთ ჯგუფისა და ბაღის სივრცე ისე, რომ ყველა ბავშვის ინტერესი თანაბრად იყოს გათვალსწინებული და ყველას ჰქონდეს საშუალება ითამაშოს მრავალფეროვანი რესურსებით და მიიღოს მრავალმხრივი გამოცდილება?

1. შეავაფასოთ ფიზიკური სივრცე
2. აღმოვაჩინოთ, რა გვაქვს ჯგუფში ისეთი, რაც ყველასთვის საინტერესოა, სად არის ყველაზე მეტი ინტერაქცია
3. დავაკვირდეთ, რისი გაუმჯობესება შეიძლება?
4. დავგეგმოთ კონკრეტული ნაბიჯები

ფიზიკურ სივრცეში იგულისხმება როგორც შენობა და ჯგუფის ოთახი, ასევე ყველანაირი რესურსი და მასალა, რაც ბაღებში გვაქვს. ფიზიკური სივრცის განუყოფელი ნაწილია ასევე ბაღის ეზო. გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესია სივრცე ისე იყოს გადანაწილებული, რომ ყველა ბავშვს აძლევდეს მისთვის საინტერესო და სასურველ საქმიანობაში ჩართვის საშუალებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის რესურსი, იქნება ეს სათამაშოები, თვალსაჩინოებები, სახატავი და ხელოვნების მასალა, წიგნები თუ სხვა ნივთები, არ შეიცავდეს და არ აღრმავებდეს სტერეოტიპულ წარმოდგენებს, ერთნაირად საინტერესო იყოს ნებისმიერი სქესისთვის და აკმაყოფილებდეს გენდერის მიმართულებით ბავშვების ინტერესებს. ფიზიკური სივრცის გენდერულად პასუხისმგებლიანი პრინციპებით მოწყობა უნდა დავიწყოთ ამ სივრცის შეფასებით. დაფიქრდით, როგორ გაქვთ მოწყობილი ჯგუფის ოთახი, რა ფერები ჭარბობს, როგორ არის განლაგებული სათამაშოები?

ამისათვის კი შეხედეთ თქვენი ჯგუფის ოთახს და შეეცადეთ აღწეროთ გონებაში ან რვეულში ჩაიწერეთ, რასაც ხედავთ. დააკვირდით:

?

- რომელ სივრცეებში იყრიან უფრო ხშირად თავს როგორც გოგონები, ასევე ბიჭები? ბავშვების დახმარებით შეეცადეთ ამოიცნოთ, რა არის ამ სივრცეში ისეთი, რაც მიმზიდველს ხდის მას ორივე სქესისთვის?
- ხომ არ გვაქვს რესურსი ან სათამაშო, რომელიც მხოლოდ გოგონებისთვის ან მხოლოდ ბიჭებისთვის არის განკუთვნილი? ხშირად ლურჯი ფერის ნივთები ბიჭის ფერი ჰგონიათ ბავშვებს და შეიძლება გოგონები არ დასხდნენ ლურჯ ბალიშზე ან სკამზე.
- რომელი სათამაშოებით თამაშობენ ბავშვები უფრო ხშირად? რომელი რესურსითა და მასალით ინტერესდებიან და რატომ ხდება ეს?
- როგორ გაქვთ ცენტრები გადანაწილებული? რომელი ცენტრებია ყველაზე დატვირთული უფრო ხშირად?
- ხომ არ გვაქვს ოთახში თვალსაჩინოება, რომელიც აღრმავებს გენდერულ სტარეოტიპს? ეს შეიძლება იყოს პროფესიების პოსტერი, სადაც ქალები მხოლოდ ზრუნვის სფეროს პროფესიებში არიან წარმოდგენილნი (ძიძა, მედდა), კაცები კი უფრო ფიზიკურ და გონებრივ სიძლიერესთან დაკავშირებულ პროფესიებში (მშენებლები, მეცნიერები, ასტრონავტები)?
- ჯგუფის რომელი წიგნები შეიძლება უქმნიდეს ბავშვებს არასწორ წარმოდგენას სხვადასხვა სქესის ადამიანებზე? ხომ არ არიან ზღაპრებში, ამბებსა და ისტორიებში გოგო გმირები სულ დაჩაგრულები, უმოძრაოები, პასიურები და მოტყუებულები, ხოლო ბიჭი გმირები მოხერხებულები, მოქმედი სუბიექტები და გამარჯვებულები?

თუ აღმოაჩენთ, რომ რომელიმე სივრცე/ცენტრი გოგონებისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე ბიჭებისთვის, სცადეთ ამ ცენტრში ახალი მასალის და რესურსების შეტანა ბავშვებთან ერთად. უთხარით მათ: ,,მე შევამჩნიე, რომ აქ უფრო ხშირად გოგონები/ბიჭები თამაშობთ. რა დავამატოთ აქაურობას იმისთვის, რომ სხვებიც გაერთონ ამ ცენტრში?'' თუ ბავშვებს მოფიქრება გაუჭირდებათ, თავად შესთავაზეთ. მაგალითად კუბურების/კონსტრუქციების ცენტრში შეგიძლიათ შესთავაზოთ ისეთი ბუნებრივი მასალის შეტანა, რომელიც სხვადასხვა კონსტრუქციების აგების დროს გამოიყენება. ასევე ნებისმიერი სქესისთვის საინტერესო შეიძლება გამოდგეს სხვადასხვა ცხოველის და ადამიანის ფიგურები, რომლებსაც სახლებს ან სხვა კონსტრუქციებს აუშენებენ ბავშვები. ან თუ გეჩვენებათ, რომ დრამატულ ცენტრში უფრო ხშირად გოგონები შედიან, შეეცადეთ შეიტანოთ ისეთი მასალა, რომელიც ბიჭებისთვისაც საინტერესო იქნება. ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ კონკრეტული სივრცე, მასალის გამრავალფეროვნების შემდეგ შეუცვალეთ სახელი ბავშვებთან ერთად. უთხარით მათ: ,,როგორ ფიქრობთ, რა სახელი მოუხდებოდა ამ ახალ სივრცეს?'' შემდეგ შეეცადეთ ისეთ სახელწოდებაზე შეთანხმდეთ, რომელსაც დაეთანხმებიან როგორც გოგონები, ისევე ბიჭები.

თუ ფერის გამო ირჩევენ ბავშვები სათამაშოებსა და რესურსებს, შეეცადეთ აუხსნათ მათ, რომ ფერი არ არის იმის განმსაზღვრელი, თუ ვისთვისაა ეს კონკრეტული სათამაშო. მოუყევით პირადი გამოცდილება ამასთან დაკავშირებით. ასევე შემოიტანეთ ჯგუფში ნეიტრალური ფერის მასალა, რაც მიაჩვევს ბავშვებს იმას, რომ ფერის მიხედვით არ წყდება, ვინ უნდა ითამაშოს კონკრეტული სათამაშოთი.

თუ ისეთ თვალსაჩინოებას ან წიგნს აღმოაჩენთ, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს აღრმავებს და შეიძლება ბავშვების შესაძლებლობები არასწორად წარმოაჩინოს, თანაც ეს რესურსი ბავშვებს უყვართ, არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფიდან გავიტანოთ ის. პირიქით, გამოვიყენოთ ეს ზღაპრები და ამბები გენდერის შესახებ სასაუბროდ. წინასწარ მოვიფიქროთ, რას ვეტყვით ბავშვებს. მაგალითად, შეგვიძლია ვკითხოთ, სწორად იქცევა თუ არა კონკია, ხმას რომ არ იღებს და ელოდება უფლისწულს, როდის მოძებნის მას? ან პირდაპირ ვუთხრათ: ,,ვფიქრობ, კონკია ასე იმიტომ იქცევა, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინ დაწერილი ზღაპარია, როდესაც გოგონებს ბევრი რამის უფლება არ ჰქონდათ, არც ბაღში დადიოდნენ და არც სკოლაში. ხშირად ხმის ამოღებაც უზრდელობა იყო. კონკია რომ დღეს ცხოვრობდეს, ვფიქრობ, ასე არ მოიქცეოდა და თავად წავიდოდა უფლისწულის მოსაძებნად''. შემდეგ კი ყველა ბავშვს მივმართოთ კითხვით: ,,თქვენ როგორ მოიქცეოდით კონკიას ადგილას?''. იგივენაირად შეგვიძლია ბავშვებს ვკითხოთ პოსტერზე გამოსახული რაინდის ნახვის შემდეგ: ,,როგორ ფიქრობთ, ეს რაინდი ქალი რომ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა? როგორი აბჯარი ექნებოდა ...?''

მას შემდეგ, რაც უპასუხებთ ამ შეკითხვებს, შეეცადეთ დაგეგმოთ კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ ფიზიკური გარემო საინტერესო იყოს როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის და მათ თანაბარ ჩართულობას უზრუნველყოფდეს.

თამაშები და აქტივობები ყველასთვის

შესთავაზეთ ბავშვებს რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვანი აქტივობა და თამაში. ეს საქმიანობები უნდა იგეგმებოდეს ბავშვების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით და არა მათი სქესის საფუძველზე. დაგეგმეთ შემოქმედებითი (ხელოვნება, კონსტრუქციების შექმნა, წიგნების და მაკეტების დამზადება), კვლევითი (დაკვირვება გამადიდებელი შუშით, სხვადასხვა ნივთიერებების შერევა, თესლის გაღვივება) დრამატული/წარმოსახვითი (ექიმობანა, მაღაზიობანა, თეატრი), კონსტრუქციული, სამაგიდე და წესებიანი (ლოტო, დომინო, ასაწყობი ფაზლები), მანიპულაციური (მძივების აწყობა, სხვადასხვა ფორმების და მასალის ზედაპირზე შეხებით გამოცნობანა), მოძრავი და კიდევ სხვა თამაშები. ასევე შეეცადეთ დაგეგმოთ აქტივობები, რომლებიც ყველასთვის თანაბრად საინტერესო იქნება და ყველა ჩაერთვება, ერთგვარი შერეული აქტივობები. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არ უნდა დავგეგმოთ თამაშები და აქტივობები მხოლოდ გოგონებისა ან მხოლოდ ბიჭებისთვის. ამის ნაცვლად უნდა შევეცადოთ, რომ ნებისმიერი საქმიანობა გავხადოთ ერთნაირად საინტერესო ყველასთვის. ამაში ბავშვებზე დაკვირვების საფუძველზე აღმოჩენილი, მათი ძლიერი მხარეები და ინტერესები დაგვეხმარება.

თამაშები და აქტივობები გენდერის შესახებ ბავშვების ცოდნისა და უნარების გასავითარებლად

ეს თამაშები და აქტივობები გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის შემადგენელი კომპონენტია. მას შემდეგ რაც დავაკვირდებით ბავშვებს და აღმოვაჩენთ რა იციან ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შევთავაზოთ ისეთი საქმიანობები, რომლებიც დაეხმარება მათ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გარკვევაში.

» გამოიყენეთ ისეთი თემები როგორიცაა ოჯახი, პროფესიები, ფერები, ემოციები, მე და ჩემი სხეული ან ნებისმიერი თემა, რომელსაც გენდერულ საკითხებს დაუკავშირებთ. წინასწარ მოიფიქრეთ რა შეკითხვებითა თუ სტრატეგიებით გააკეთებთ ამას. მაგალითად, ფერებზე საუბრისას შეგვიძლია ვუთხრათ ბავშვებს, რომ ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლურჯი ბიჭების ფერია, ვარდისფერი კი გოგონების. ჰკითხეთ ბავშვებს რამდენად სამართლიანად ეჩვენებათ ეს და რატომ არ შეიძლება, რომ ცისფერი ნივთებით გოგონებმაც ითამაშონ ან ჩაიცვან. მოუყევით საკუთარი მაგალითი. როდესაც ბავშვებთან სხეულზე საუბრობთ, გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და გაამახვილეთ მათი ყურადღება ადამიანის აგებულებაზე, ორგანოებზე და იმაზე, რომ სხეული შეიძლება ყველას სხვადასხვანაირი გვქონდეს.

სხეულზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება პირად უსაფრთხოებაზე. შეგვიძლია ვუთხრათ ბავშვებს, რომ სხეულზე გვაქვს პირადი ადგილები, რომელსაც ყოველთვის და ყველასთან არ ვაჩენთ. აუხსენით ბავშვებს, რომ ამის გამო მათ არ უნდა შერცხვეთ, უბრალოდ უნდა იცოდნენ, რომ რადგან ეს პირადი ადგილებია, არც უფროსები და არც ბავშვები არ უნდა სთხოვდნენ ერთმანეთს ამ ადგილების ჩვენებას ან შეხებას. ასეთი თხოვნა შეიძლება სახიფათოც იყოს და ამიტომ ასეთ შემთხვევაში ბავშვებმა ყოველთვის უნდა შეატყობინონ უფროსს, ვისაც ენდობიან.

- დაგეგმეთ აქტივობები, რომლებიც უშუალოდ გენდერულ იდენტობას შეეხება. მაგალითად: დაამზადეთ სახალისო ბარათები გოგონებისა და ბიჭების გამოსახულებით შედარებით არატრადიციულ როლებში და გარეგნობით - მოკლეთმიანი გოგონები და გრძელთმიანი ბიჭები, მეხანძრე ქალები და აღმზრდელი კაცები და სხვა. შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს დაალაგონ გოგონები ცალკე და ბიჭები ცალკე. ჰკითხეთ რითი გამოიცნეს კონკრეტული ადამიანი გოგო იყო თუ ბიჭი და შემდეგ გააგრძელეთ საუბარი, იმის ხაზგასმით, რომ არ აქვს მნიშვნელობა გოგო ხარ თუ ბიჭი, ყველას შეიძლება უყვარდეს, უნდოდეს და კარგადაც გამოსდიოდეს, ის რაც ხანდახან მაინდამაინც "გოგოური" ან "ბიჭური" გვგონია.

- წინასწარ შეარჩიეთ ზღაპრები, რომლებიც ქალის და მამაკაცის გენდერულ როლებს სხვაგვარად წარმოგვიდგენს. ასეთი ზღაპრები უკვე ხელმისაწვდომია ჩვენი ბავშვებისთვის. ერთი საინტერესო ზღაპრების კრებული ქართველ ქალებზე ქართველმა მწერლებმაც შექმნეს. „იყო ერთი გოგო" - ასე ჰქვია კრებულს, რომელიც გვიყვება ისეთ მამაც, მიზანდასახულ და ჭკვიან ქართველ ქალებზე, რომლებმაც დაამარცხეს დაბრკოლებები, წინ აღუდგნენ უსამართლობას და ბოროტებას და დაამსხვრიეს ბევრი სტერეოტიპი, რის გამოც ჩვენ ამ ქალებით ძალიან ვამაყობთ. კიდევ ერთი ქართული წიგნი, რომელიც ბავშვებთან გენდერულ როლებზე საუბარში დაგეხმარებათ, არის „იავნანა ლილისთვის", რომელიც მოგვითხრობს ერთი ჩვეულებრივი, ძალიან თბილი

და ჰარმონიული ოჯახის ცხოვრებაზე, სადაც დედა და მამა თანაბრად ინაწილებენ შვილების აღზრდის პასუხისმგებლობასა და საოჯახო საქმეებს. ინგლისელი ავტორების მიერ შექმნილი და ქართულად ნათარგმნი ზღაპარი „თავნება პრინცესა" გვიყვება პრინცესა სოფოზე, რომელიც კოშკშია გამოკეტილი და ბევრი სხვა პრინცესის მსგავსად უფლისწულს ელოდება. თუმცა მას შემდეგ, რაც უფლისწული გადაარჩენს, მოვლენები ცოტა სხვანაირად ვითარდება, ვიდრე ეს ტრადიციულ ზღაპრებშია. შეგიძლიათ თავად მოიფიქროთ ამბები, მაგალითად, სატვირთო მანქანის მძღოლ ნაზ გოგონაზე ან მზრუნველ ბიჭზე, რომელსაც ძალიან უყვარს ბავშვები და ამიტომ ბაღში აღმზრდელად მუშაობს. თემას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ამბავმა შეუქმნას ბავშვებს წარმოდგენა, რომ შესაბამისი ძალისხმევის და სურვილის შემთხვევაში როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს თითქმის ყველაფრის მიღწევა შეუძლიათ და მათ არ უნდა შეიზღუდონ თავი მხოლოდ იმიტომ, რომ, საზოგადოების აზრით, მათ რაიმე არ გამოუვათ ან ეს რაიმე „მათი საქმე არ არის".

შემთხვევის განხილვა

განვიხილოთ ასეთი სიტუაცია: ბაღის დღე დასარულს უახლოვდება. 4 ბავშვი და მათი აღმზრდელი მშობლებს ელოდებიან ეზოში და თან თამაშობენ. ალექსანდრემ, ვატომ, ლუკამ და ანიმ ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს, თუმცა ვერ გადანაწილდნენ გუნდებში - არც ერთ ბიჭს არ სურდა გუნდში ანისთან ერთად მოხვედრა, რადგან ის გოგოა. ანიმ მოიწყინა. აღმზრდელმა შენიშნა ეს და მივიდა ანისთან. მას შემდეგ რაც ანიმ მოწყენის მიზეზი გაუზიარა, აღმზრდელმა მისი დამშვიდება სცადა: „მაგის გამო გული არ უნდა დაგწყდეს, არ გათამაშეს და ნუ გათამაშეს. რად გინდა ისედაც ფეხბურთი, შენ ხომ გოგო ხარ?"

- თქვენი აზრით, ვლინდება თუ არა გენდერული სტერეოტიპები ბავშვების ან აღმზრდელის საქციელში?
- თქვენი აზრით, რა იგრძნო ანიმ აღმზრდელთან საუბრის შემდეგ -გაუვლიდა თუ არა ანის წყენა აღმზრდელის ამ სიტყვების შემდეგ?
- თქვენი აზრით, რამდენად გენდერულად პასუხისმგებლიანი იყო აღმზრდელის სიტყვები და ქცევა?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით აღმზრდელის ადგილას? რას ეტყოდით ანის? ბიჭებს?

განხორციელება

1 ურთიერთობა, ქცევა დამოკიდებულებები

2 აღმზრდელის სტრატეგიები და დაგეგმილი აქტივობები

მას შემდეგ რაც დავგეგმავთ შესაბამის აქტივობებს, მოვაწყობთ ფიზიკურ გარემოსა და მოვიმარაგებთ ახალ და საინტერესო რესურსსა და მასალას, შეგვიძლია ჩვენი გეგმების განხორციელების ეტაპზე გადავიდეთ, ანუ დავიწყოთ ჩვენი პრაქტიკის გენდერულად უფრო პასუხისმგებლიანად წარმართვა.

ურთიერთობები, ქცევა და დამოკიდებულებები

- შეამცირეთ გენდერული სტერეოტიპების შემცველი გამონათქვამები: ,,ეს გოგონების საქმე არ არის'', ,,ბიჭებს ასეთი საქციელი არ უხდებათ'' და სხვა.

- ყოველთვის აუხსენით რატომ ითხოვთ ბავშვებისგან კონკრეტულ ქცევას და ეს ახსნა ობიექტურ მოცემულობას უნდა ეფუძნებოდეს და არა გავრცელებულ სტერეოტიპულ შეხედულებას. თუ ასეთი ახსნა არ გვაქვს - მაგალითად ვერ ვუხსნით რატომ უნდა დაუთმონ საპირფარეშოს რიგი ბიჭებმა გოგონებს ჯობია საერთოდ არ მოვითხოვოთ ბავშვებისგან ასეთი საქციელი.

- ყოველთვის შეეწინააღმდეგეთ ბავშვების მიერ გამოთქმულ სტერეოტიპულ მოსაზრებებს. ასეთი მოსაზრების ბავშვებისგან გაგონებისთანავე დაიწყეთ საუბარი ფრაზით ,,მე ასე არ ვფიქრობ'' და შემდეგ შეგიძლიათ საკუთარი ან ახლობლის მაგალითი მოიყვანოთ. წარმოვიდგინოთ, ბავშვი ამბობს, რომ საჭმლის კეთება კაცის საქმე არ არის. შეგიძლიათ პირდაპირ უთხრათ: ,,მე ასე არ ვფიქრობ, ძალიან ბევრი კაცი მზარეული არსებობს და ძალიან გემრიელადაც ამზადებენ საჭმელს. ჩემი ძმაც ხშირად გვიმზადებს ხოლმე და ნამცხვრებსაც გვიცხობს''

- მიმართეთ ბავშვებს სახელებით, შეეცადეთ აარიდოთ თავი მიმართვას ''გოგო'' ან ,,ბიჭო''

- შეეცადეთ არასოდეს გამოიყენოთ სქესი შეურაცხმყოფელ ან დამაკნინებელ კონტექსტში და ბავშვებშიც იგივე წაახალისეთ. აუცილებლად შეუსწორეთ, თუ გაიგებთ რომ მაგალითად ბიჭს დასცინიან და ეუბნებიან: ,,გოგო ხარ'' ან ,,ქალაჩუნა'', ან გოგონაზე ამბობენ ,,ქალ-კაცა''.

- ასევე შედარებისთვისაც ჯობია არა სქესი, არამედ სხვა მახასიათებელი გამოიყენოთ, ნაცვლად იმისა, რომ გოგონა შევაქოთ ,,ბიჭივით ჭკვიანი ხარ'', შეგვიძლია ვუთხრათ: ,,ნამდვილი ბრძენი ხარ''.

- შეეცადეთ შეაქოთ ბავშვების ძალისხმევა და ქცევა და არა შედეგი. შესაბამისად, ნაცვლად გამოთქმისა „კარგი გოგო ხარ, ეს რომ გააკეთე", ვუთხრათ: „რა კარგად გიმუშავია„, „რა კარგია, რომ ჩაერთე თამაშში". იგივე ეხება შენიშვნასაც, რომლის დროსაც ბავშვის დახასიათების ნაცვლად („ცუდი ბიჭი ხარ„), შევეცადოთ ქცევა შევაფასოთ („ეს საქციელი არ იყო კარგი").

აღმზრდელის სტრატეგიები და დაგემილი აქტივობები

- ყველა ბავშვს მიეცით ემოციების გამოხატვის საშუალება, მაშინაც კი თუ ისინი ამას ტირილით აკეთებენ. რა თქმა უნდა ემოციების მართვის უნარის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი სქესის ბავშვისთვის. ამიტომ, ემოციურ განვითარებას დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ბაღებში.

- მას შემდეგ, რაც შეცვლით ფიზიკურ გარემოს, შესთავაზეთ ბავშვებს ახალი გარემოსა და რესურსების აღმოჩენა და მოსინჯვა. ერთნაირად წაახალისეთ როგორც გოგონები, ასევე ბიჭები. შეეცადეთ, რომ ისეთი საქმიანობები შესთავაზოთ, რომელიც კონკრეტული ბავშვის ინტერესებიდან და არა მისი სქესიდან გამომდინარეობს. ისევ კუბურების ცენტრის მაგალითი რომ ავიღოთ, თუ ხედავთ, რომ გოგონები არ თამაშობენ, ამ სივრცეში პრინცესებისთვის სასახლის აშენების ნაცვლად შესთავაზეთ ისეთი ზოოპარკის გაკეთება, სადაც ყველა ცხოველს პატარა სახლი ექნება.

- თუ დაკვირვების საფუძველზე შევამჩნევთ, რომ გოგონები და ბიჭები სულ ცალ-ცალკე სხდებიან, შევეცადოთ წავახალისოთ, რომ შერეულად დასხდნენ, არაფერია ცუდი იმაში, რომ გოგოს გვერდით ბიჭი მოხვდეს და პირიქით. შეგვიძლია საკუთარი მაგალითი მოიყვანოთ და უთხრათ, რომ ბაღში ხშირად საპირისპირო სქესის მეგობრებთან სხდებოდით, რაც როგორც საინტერესო, ასევე ძალიან სახალისო იყო და ამიტომ ძალიან გიყვარდათ.

- წიგნის კითხვისას გამოიყენეთ სხვადასხვა ტექნიკა (ინტონაციის შეცვლა, მეზღაპრე სათამაშოები, წიგნის ილუსტრაციების ჩვენება), იმისათვის რომ ეს პროცესი ბავშვებისთვის უფრო საინტერესო გახდეს. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენ მიერ წინასწარ შერჩეული, გენდერულ როლებსა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვების შემდეგ ბავშვები დისკუსიაში ინტერესით ჩაერთონ.

- დააწესეთ სტუმრის დღე და მოიწვიეთ სხვადასხვა პროფესიის ან საქმიანობის ადამიანები, რომლებიც აჩვენებენ ბავშვებს, რომ სქესი არ განსაზღვრავს იმას, თუ რა კარიერას ან საქმიანობას ირჩევს ადამიანი. ესენი შეიძლება იყვნენ: ქალი პოლიციელი ან ჯარისკაცები, კაცი მზარეული ან აღმზრდელი ან, უბრალოდ, მამები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ბაშვებთან და მათი მოვლით არიან დაკავებულები (იგულისხმება ბავშვის კვება, დაბანა, საცვლების გამოცვლა, სარეცხის გარეცხვა).

- ყველა ბავშვი უნიკალური და ერთმანეთისგან განსხვავებულია და უნდა დავაფასოთ ეს განსხვავებულობა და ინდივიდუალურობა, რათა მათ იგრძნონ, რომ ისინი გვიყვარს და პატივს ვცემთ ისეთებს, როგორებიც არიან.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დამოუკიდებლად დანერგვა ძალიან რთული იქნება აღმზრდელისათვის, რადგან ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბაღის ადმინისტრაციასა და მშობლებს. შესაბამისად, მათთან თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვის საქმეში.

ადმინისტრაციის როლი გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომების დანერგვაში:

- გენდერული საკითხების ინტეგრირება შიდა მონიტორინგის სისტემებში
- ფიზიკური გარემოს მოწყობისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწობა
- გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომების ინტეგრირება დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში

ადმინისტრაცია

- ჩააყენეთ ადმინისტრაცია საქმის კურსში იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რის განხორციელებასაც აპირებთ. გააცანით მათ გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის სარგებელი. ეს დაგეხმარებათ აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთებაში.
- გახსოვდეთ, რა როლი აქვს ადმინისტრაციას გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომების დანერგვის მიმართულებით. მიმართეთ მათ დახმარებისთვის ისეთ საკითხებში რაც საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენციას სცდება (როგორიცაა, მაგალითად, ახალი რესურსის შეძენა).

მშობლები

- წლის დასაწყისში გააცანით მშობლებს მიდგომები, რომლებსაც იყენებთ პრაქტიკაში. აუხსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი მათი შვილების განვითარებისთვის გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომები და გარდა ამისა, რა რეგულაციები გვავალდებულებს, რომ ბავშვებს შევთავაზოთ გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი პროცესები და გარემო.
- უთხარით მშობლებს, რომ მათი შვილების განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ბავშვებმა მრავალფეროვანი სათამაშოებით ითამაშონ, რადგან ყველა სათამაშო სხვადახვა ტიპის გამოცდილებას სთავაზობს.
- მოისმინეთ მათი აზრი და შეეცადეთ შეთანხმდეთ მიდგომებზე.
- დაეხმარეთ მშობლებს, მიეცით კონკრეტული რჩევები, რომ მათაც სახლში არ შეზღუდონ ბავშვების შესაძლებლობები გენდერული ნიშნით.

შეფასება

მას შემდეგ, რაც განვახორციელებთ დაგეგმილ ცვლილებებს, მნიშვნელოვანია შევაფასოთ ჩვენი პრაქტიკა, რომ ვნახოთ, რამდენად მივაღწიეთ ამ ცვლილებებით სასურველ შედეგს და გახდა თუ არა ჩვენი პრაქტიკა კიდევ უფრო გენდერულად პასუხისმგებლიანი. შეფასებაში კი, როგორც ვთქვით, ბავშვსა და საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვება და რეფლექსია დაგვეხმარება.

- ბავშვზე დაკვირვება - ცვლილებების შეფასების ეტაპზე ისევ უნდა დავაკვირდეთ და შევეცადოთ აღმოვაჩინოთ ყველა ის ფაქტორი, რაც დაგეგმვის ეტაპზე დაკვირვებისას გავითვალისწინეთ. ცვლილებების განხორციელების შემდეგ ასევე საინტერესოა, როგორ მიიღეს ეს ცვლილებები ბავშვებმა და რამდენად შეიცვალა მათი ქცევა ამ ცვლილებების განხორციელების შემდეგ. კონკრეტულ ბავშვზე დაკვირვების დროს შეეცადეთ ჩაინიშნოთ, რამდენად იყენებს ბავშვი გენდერულად სტერეოტიპულ გამოთქმებს, რომელი სათამაშოებით თამაშობს ყველაზე ხშირად, ერთვება თუ არა სხვა სქესის ბავშვებთან ერთად თამაშში, ურთიერთობს თუ არა მათთან. ასევე შევეცადოთ დავინახოთ მისი ცოდნა საკუთარი სხეულის და შესაძლებლობების შესახებ.

- საკუთარი პრაქტიკის შეფასება, თვითრეფლექსია - ისევ დააკვირდით საკუთარ ქცევას და ბავშვებთან ურთიერთობის სტილს. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა თქვენი ქცევა, შემცირდა თუ არა სტერეოტიპული გამოთქმები ან გენდერული სტერეოტიპებით განსაზღვრული თამაშები? ამის დასადგენად შეგიძლიათ თავიდან შეავსოთ დაგეგმვის ნაწილში მოცემული ცხრილი და ნახოთ, შემცირდა თუ არა ის სტერეოტიპული ქცევა, რომელიც ცვლილებების განხორციელებამდე აღმოაჩინეთ თქვენში.

შეფასების შემდეგ ისევ დაგეგმვის ეტაპი მოდის და ეს დაგეგმა-განხორციელება-შეფასების ციკლი თავიდან იწყება.

სურათის აღწერა

აღწერე ქვემოთ მოცემული ნახატი და შეეცადე უპასუხო შეკითხვებს:

1 როგორ ფიქრობთ, რამდენად არის გენდერულად პასუხისნგებლიანი ამ აღმზრდელის პრაქტიკა? რატომ ფიქრობთ ასე?

2 არის თუ არა ფიზიკური გარემო შესაბამისად მოწყობილი, რამდენად მრავალფეროვანი და სხვადასხვა ინტერესებზე მორგებულია რესურსი? ხომ არ უწყობს გარემოს რაიმე კომპონენტი გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას ხელს?

3 რას შვრებიან ბავშვები? რამდენად არიან ჩართულები საქმიანობებში? როგორ არიან გადანაწილებული გოგონები და ბიჭები ცენტრებში?

და ბოლოს, საკუთარი მუშაობის და ურთიერთობის სტილის და ქცევის შეცვლა არც ისე მალე ხდება და ალბათ არც იქნება სწორი, გვქონდეს მოლოდინი, რომ პროფესიონალები ამას უცებ მოახერხებენ. თუმცა ჩვენ მაინც ვფიქრობთ, მონდომება, თანმიმდევრულობა და ამ გზამკვლევის სწორი გამოყენება აუცილებლად დაგეხმარებათ ამ საინტერესო პროცესის სათანადოდ მართვაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია (იუნესკო), განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, 14 დეკემბერი, 1960, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0

- გაეროს გენერალური ასამბლეა, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, 18 დეკემბერი, 1979, გაერთიანებული ერები

- ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ნოემბერი 2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

- საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო 1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

- საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 08 ივნისი 2016, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=11

- საქართველოს მთავრობა, დადგენილება N488, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 30 ოქტომბერი 2017, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0

- საქართველოს მთავრობა, დადგენილება N478 აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, 21 ოქტომბერი 2017, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, ქალი და კაცი საქართველოში, https://www.geostat.ge/media/41854/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%

- გაეროს ქალთა ორგანიზაცია, (2018), ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში

- გაეროს ბავშვთა ფონდი, (2019), ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი, ჩამოტვირთულია https://www.unicef.org/georgia/media/3041/file/skolamdeli-ganatlebis-standarti.pdf

- VVOB; Forum for African Women Educationalists, (2019), Gender-responsive pedagogy in early childhood education: a toolkit for teachers and school leaders

- Claudia Buchmann, Thomas A. DiPrete and Anne McDaniel, (2008), Gender Inequalities in Education, Annual Review of Sociology, Vol. 34 (2008), pp. 319-337

- Kelly Lynn Mulvey and Melanie Killen, (2015), Challenging Gender Stereotypes: Resistance and Exclusion, Child Development, Vol. 86, No. 3 (MAY/JUNE 2015), pp. 681-694

- Heikkilä, M., (2020), Gender equality work in preschools and early childhood education settings in the Nordic countries—an empirically based illustration. Palgrave Commun 6, 75 (2020)

- Jen Chapin, Verity Warne, (2020), Gender Responsive Pedagogy in Higher Education: a framework, ჩამოტვირთულია https://www.inasp.info/sites/default/files/2021-01/Gender%20responsive%20pedagogy%20Framework%20paper.pdf

- FAWE, (2018), Gender Responsive Pedagogy: A Toolkit for Teachers and Schools. 2nd, updated ed. Nairobi: Forum for African Women Educationalists. FAWE House

- UNESCO, (2015), A Guide for Gender Equality in Teacher Education Policy and Practices. Paris: UNESCO. ჩამოტვირთულია http:// unesdoc.unesco.org/images/0023/002316/231646e.pdf

- Abril, P., Cremers, M., Duncan, N., Golubevaite, L., Krabel, J. Lilaite, A. … Romero, A. (2008). Gender Loops – Toolbox for genderconscious and equitable early childhood centres. J. Krabel & M. Cramers (Eds.). www.genderloops.eu. ჩამოტვირთულია https:// docplayer.net/7856758-Gender-loops-toolbox-for-gender-conscious-and-equitable-early-childhood-centres.html

- Marshall, N.L., Robeson, W.W., & Keefe, N. (1999). Gender Equity in Early Childhood Education.

- Derman-Sparks, L., Edwards, J. O., & National Association for the Education of Young Children. (2010). Anti-bias education for young children and ourselves. Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

- Martin, C. L., & Ruble, D. (2004). Children's search for gender cues: Cognitive perspectives on gender development. CURRENT DIRECTIONS IN PSYCHOLOGICAL SCIENCE, 13(2), 67–70. ჩამოტვირთულია https://doi.org/10.1111/j.0963-7214.2004.00276.x